ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 66

ქ. თბილისი 26 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „ბი ემ სი გორგია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურისათვის ერთი ცალი სჭვალსახრახნის /44512800-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 234.00 (ორას ოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო – 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

“მიმწოდებელი” ვალდებულია:

3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ერთი ცალი ახალი სჭვალსახრახნის (CD 007, 20V) გადაცემა.

3.2. გადაცემული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის ვადაში უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

“შემსყიდველი” ვალდებულია:

3.3. შეამოწმოს გადაცემული საქონლის ხარისხი და დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი ახლით შეცვლა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3.4. პრეტენზიების არ არსებობის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან მოსთხოვოს დაკისრებული ჯარიმის გადახდა.

5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის გადაცემის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. გარანტია

7.1. გადაცემული საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი.
7.2. თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება გადაცემული საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედებით ან მისი არასწორი ექსპლუატაციით, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი შეკეთება ან/და საქონლის ახლით შეცვლა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
9.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
9.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მერიის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.
10.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს;
10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიურწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, მესამე კი-მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 26 ივლისიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	შპს „ბი ემ სი გორგია“
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,	მის: ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, წერეთლის გ.№140
ს/კოდი: 230869254	ს/კოდი: 245621288
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE62TB1007536020100008
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს ,,თიბისი“ ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კოდი TBCBGE22

16. მხარეთა ხელმოწერები

_____	_____
გიორგი ქორიძე	ლევან ჭელიძე
მუნიციპალიტეტის მერი	შპს „ბი ემ სი გორგია“-ს დირექტორის წარმომადგენელი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68310948258517

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170774865

რეგისტრაციის თარიღი

10.07.2017 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ათ ივლისს, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/151/153 ბ. 1)** . მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს "ბი ემ სი გორგია"-ს** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ლევან გელაშვილს (პ/ნ 57001013893); ხვიჩა პაპუნიძემ** მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ ბი ემ სი „) –ის წესდება .

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

რწმუნებულება

შპს "ბი ემ სი გორგია"(ს/კ 245621288), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (პ/ნ 61006011559) სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი", **ლევან გელაშვილს** (დაბ: 24.10.1984წელს, პ/ნ 57001013893) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს მარწმუნებლის სახელით საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" განსაზღვრულ სუბიექტებთან მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 4 000 ლარს. დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას შინარსი, პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა. შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი. შეასრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს წარმოშობილი უფლებებით.

ბ) შეასრულოს სხვა მოქმედებები, რაც არ არის მითითებული პირდაპირ მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებულს არ აქვს უფლება აღნიშნული უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს.

3. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

ხვიჩა პაპუნიძე

ნოტარიუსი: ---------- ხ. კალანდარიშვილი